ცნობის ფურცელი

№ 1754 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 16 მარტი № 1754

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ მარტიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან. და **25** კაპ. (კაპეიკები ფოსტის მარკებით შეიძლება გამოიგზავნოს).

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჩიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. გ. ფილდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინოვ—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაიდლისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274 (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუღლიევის სახლი.

ექიმი
ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რუსტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**

ამ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, საწორის პირდაპირ. (0—19)

საზღვარ-გარედ

ჩინეთი. ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან: „ჩინეთში მოგაჭრე ინგლისელები მეტად შეშინებული არიან ჰონკონგიდან მოსულ ამბით, რომ გენერალ სუს მთელი ჯარი აჯანყებულების მხარეზე გადვიდა: ადვილად შესაძლებელია აჯანყებულებმა დაიპყრონ მთელი სამხრეთ-ჩინეთი და დამოუკიდებელი გახადონ პეკინისაგან. ინგლისელებს ეშინიათ საფრანგეთის საქმეში ჩარევისა და ამიტომ საჭიროდ სთვლიან, რომ ინგლისმა მტკიცედ დაიპყრას იანცევიანგის ახლო მდებარე ნავთ-სადგურები“.

ისევ თავიდან იწყება ჩინეთის არეულობა. რომ აჯანყება სახუმრო აღარ არის, ეს იქიდან სჩანს, რომ ჩინეთის გენერალი მა სასტიკად დამარცხებული იძულებული შეიქნა უკან გამობრუნებულიყო. მთების ყველა გასავალი ადგილები ინსურგენტების ხელშია. აჯანყებულებს შეუერთდა ბევრი ჯარის კაცი, გარდა სუს ჯარებისა. შეთქმულებს მეთაურობს გუნგმინგი, ნათესავი ტაიპინგების წინამძღვრისა.

ბევრს იმედი აქვს, რომ ეხლანდელი აჯანყება არ იქნება ისე საშიში, როგორც წინანდელი იყო. ეს იმედი იმ მოსაზრებაზეა დამყარებული, რომ სამხრეთელების მოძრაობა ყოველთვის ეხლანდელ დინასტიის წინააღმდეგ იყო მიმართული და, მაშასადამე, ჩინეთის მთავრობა არავითარ დახმარებას არ გაუწევს აჯანყებულებსო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეხლანდელი მთავრობით უკმაყოფილონი არიან აგრეთვე იანცზეზე და პეჩელიის პროვინციაშიც და თუ აქაც იფეთქა აჯანყებამ, ეხლანდელ დინასტიის საქმე ძალიან ცუდად იქნება. ეს გარემოება კი დიდ არეულობასა და აურ-ზაურს გამოიწვევს, შეიძლება უფრო მეტსაც, ვიდრე ეს წარსულ არეულობის დროს იყო.

„მორნინგ პოსტი“-ს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა მიჰმართავს წინადადებით სახელმწიფოებს, გაგზავნონ ჯარები ჩინეთის მთავრობის განკარგულებაში, თუ აჯანყება გავრცელდება გუანსის პროვინციაში.

ადვილად შესაძლებელია, ისევ შევიქნეთ მოწამენი „მოკავშირეთა“ ჯარების მოცილეობისა „თანხმობით“ მოქმედების დროს და უიარაღო ჩინელების ვაჟკაცურად დამარცხებისა, მშვიდობიან ომის ველზე.

კაპის-ახალშენის ნაპოლეონი. ქ. დურბანი სამხრეთ აფრიკის ერთი ნავთ-სადგურთაგანია. აი, ამ ნავთ-სადგურში გადმოვიდა გემიდან 1871 წ. 18 წლის ახალგაზდა ყმაწვილი, სუსტი, ფერმკრთალი და დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილი. მას საშინლად ახველებდა. ექიმების სიტყვით, იგი დიდხანს ვერ იცოცხლებდა, რადგან მას ჭლექი სჭირდა. სამხრეთ-აფრიკაში ახალგაზდა ინგლისელი ჩამოვიდა ძმასთან, რომელსაც ნატალში ფერმა ჰქონდა: იქნება ადგილობრივმა ჰაერმა რამე მიშველოსო. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს შესაბრალისი ავადმყოფი ახალგაზდა ერთ დროს გახდებოდა კაპის ახალშენის ნაპოლეონი—სესილ როდსი, რომელსაც ხელთ ჰქონდა სამხრეთ-აფრიკის მთელი მრეწველობა, რომელმაც დააარსა მთელი იმპერია და რომელიც მეფეებს ელაპარაკებოდა, როგორც სწორი სწორს.

სესილ როდსის ნატალში მოსვლისას აქ ხმა გავრცელდა, ვითომც ზანგებს ალმასი ეპოვნათ მდ. ორანჟეს ნაპირებზე და იმ ადგილს, სადაც ახლა კიმბერლე ჰქვია. როდსს არც ფული ჰქონდა, არც საჭირო ჯანმრთელობა და ამიტომ მან თან წაიყვანა თავისი ძმაც, რომელმაც თავისი ფერმა გაჰყიდა. ამ პატარა ფულით როდსებმა იყიდეს მიწა, სადაც დაფლული იყო ძვირფასი განძი. ძმამ მალე თავი მოიკლა და სესილს დარჩა საკუთრებად ნაყიდი მიწა. შეუდგნენ ამ მიწის ექსპლოატაციას, რომელიც იმ ხანებში მეტად მარტივი იყო: ათიოდე ზანგი მუშაობდა დაუხურავ ჭის ძირში და თოკებით ამოჰქონდათ ზევით ქვის ნატეხები, რომლებშიაც იყო დამალული სანატრელი ძვირფასი ქვები. ჭის თავზე იჯდა თვით მიწის პატრონი და თავის ხელებით ამტვრევდა ამ ქვებს და ეძებდა ალმასს. ორის წლის საშინელ შრომის შემდეგ როდსი მდიდარი გახდა და თან ჯანმრთელიც შეიქნა. გამდიდრებისთანავე როდსი შეუდგა თავის განათლების შევსებას, რისთვისაც იგი 1876 წლიდან 1881 წლამდე რამდენჯერმე იყო ოქსფორდში.

როდსის ენერგიას ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა, განსაცვიფრებელი იყო აგრეთვე ისიც, რომ გამდიდრებული როდსი მარტო გამდიდრებაზე არ ჰფიქრობდა—მას, მძიმე მუშაობისა და სწავლის დროს შეედგინა დიდი გეგმა აფრიკის თავისუფალ ადგილების დაპყრობისა და გაერთიანებისა დიდის დროშის ქვეშ.

ფელეტონი

„მოხუცი იზერგილი“

მ. გორკისა

II*)

მოხუცმა განაგრძო:

— პოლონეთში კი გამიჭირდა. იქაური ხალხი ცივია და მატყუარი. პირველად მე ჯერ არ ვიცოდი მათი გველური ენა. სულ სისინებენ... რას სისინებენ? ასეთი გველური ენა ღმერთს უსათუოდ მათის ცბიერების და ვერაგობის სარჯელად მიუცა მათთვის. მივდიოდი კია და მე თითონ არ ვიცოდი, რა იყო ჩემი მიზანი, სად მივეშურებოდი! ეს ის დრო იყო, როცა პოლონეთში თქვენ წინააღმდეგ ამბოხებას აპირებდნენ. ბოლოს ქალაქ ბოხნიაში მიველი. იქ ერთმა ურიამ მიყიდა ჯერა; თავისთვის კი არა, სავაჭროთ. მე ხელობა არაფერი ვიცოდი და გაჭირების დროს იძულებული ვიყავი ჩემივე თავი გამეტანა ბაზრათ სავაჭროთ. გავისყიდე, მაგრამ ამ ბორკილების დამსხვრევის იმედი კიდევ მაინცა მქონდა. ამისთვის საკმარისი იყო, მხოლოდ ჩემ ბირლატზე დასაბრუნებელი ფული მეშოვნა. დრომდის კი ვითმენდი ამ ცხოვრებას. დროს გასატარებლად და საქეიფოთ ბევრი მდიდარი პოლონელი დადიოდა ჩემთან. ძვირათ კი დაუსვი მე მათ ეს ქეიფები!.. რას არ სჩადიოდნენ ჩემი გულისთვის!.. ოჯახს, შვილსა და ცოლს სტოვებდნენ და ჩემთან მოდიოდნენ, თავისი უკანასკნელი გროშები ჩემთან მოჰქონდათ და იქა სჭამდნენ. რამდენი გალატაკდა მათგანი? ერთი მათგანი კაი ხანს სცდილობდა ჩემს ხელში ჩაგდებასა და, რაკი ვერ მოახერხა, ბოლოს შემდეგი ხერხი იხმარა: ერთ დღეს, ჩემთან როცა მოვიდა, უკან მოსამსახურე შემოჰყვა და თან ტომრით რაღაცა შემოიტანა. ამ ტომარაში თურმე ოქრო იყო სულ და როცა პანმა თავზე წამომაპირქვავა, ხრიალით წამოვიდა ის და მხიარული წკრიალი დაიწყო. მართალია, მესიამოვნა პანის ესეთი საქციელი, მაგრამ მაინც გავაგდე. რაღაცნაირი მსხვილი, უსანდომო პირი-სახე ჰქონდა და ვეებერთელა ბალიშსავით მრგვალი მუცელი. გამაძღარ ღორსავით გამოიყურებოდა... დიაღ, გავაგდე, თუმცა ამბობდა: რაც რამ მებადა სულ გავყიდე, ოქროთ ვაქციე, რომ მხოლოდ შენ გემეხარებინეო. მაშინ სხვა მიყვარდა. იმას სახე სულ მთლად დასერილ-დაჩეხილი ჰქონდა. იმ ცოტა ხნის წინად თათრებს თურმე ეომებოდა ბერძნებთან ერთად. აბა ვაჟკაცი ის იყო! ბერძნებთან რა ხელი ჰქონდა პოლონელს? მაგრამ მაინც წავიდა და მათთან ერთად თავგამეტებით იბრძოდა. ურჯულოთ ერთი თვალი ამოეთხარათ მისთვის და მარცხენა ხელზე ორი თითი მოეჭრათ... აბა, ბერძენთან რა ხელი ჰქონდა, როცა თითონ პოლონელი იყო? ისა, რომ ვაჟკაცი იყო და ღვაწლის მოტანა სურდა. კაცმა მოინდომოს კია ღვაწლის მოტანა, თორემ ყოველთვის შესძლებს. ცხოვრებაში ღვაწლს ყოველთვისა აქვს ადგილი. ისინი კი, ვისაც ღვაწლის მოსატანათ შემთხვევა ვერ უპოვნიათ, ლაჩრები არიან და ზარმაცნი; ან არა და ცხოვრება არ ესმით—რადგან, ხალხს რომ ცხოვრების სმენა ჰქონდეს, ყველა მათგანი ეცდებოდა, ისე არ გაევლო ეს წუთისოფელი, რომ თავის შემდეგ რამე კვალი არ დაეტოვებინა. მაშინ ხომ ცხოვრება ასე უმნიშვნელოდ და უბრალოდ ვეღარ ჩანთქავდა ადამიანსა! ოჰ, ძალიან კაი კაცი იყო ეს დაჩეხილი. იქამდის იყო სარგებლობის მოტანით გატაცებული, რომ ჯოჯოხეთშიაც კი დიდის სიამოვნებით წავიდოდა, ოღონდ კი იქაც ყოფილიყო რამე გასაკეთებელი. საცოდავი, მგონი, თქვენებმა მოჰკლეს. არა? ვენგრების წინააღმდეგ რაღათ მიდიოდით? კარგი, გაჩუმდით!..

მე მიბრძანა გაჩუმება და უცბად თითონაც დადუმდა.

ერთ ვენგერელსაც ვიცნობდი. ერთხელ გვიანობამდის იყო ჩემთან და გათენებისას დაბრუნდა შინა. ეს ამბავი ზამთარში იყო და გაზაფხრლზედ, როცა დადნა მინდორში თოვლი, საწყალი ტყის პირას იპოვნეს. ტყვიითა ჰქონდა თავი გახვრეტილი. აი ესე! ჰხედავ სიყვარული შავ ჭირზე ნაკლებ თურმე არა ჰლუპავს ადამიანს; რას ვამბობდი? ჰო, პოლონეთზედ... იქ კი უკანასკნელი იყო ჩემი ნავარდობა. ერთ შლიახტიჩს შევეყარე... აბა ლამაზი ის იყო!.. მე კი ხანში შევდიოდი მაშინა! მე მგონი, ორმოცი წლისა ვიქნებოდი...ის-კი ყმაწვილი იყო, მედიდური და გაანებიებული ქალებისაგან. ეჰ, ძვირად დამიჯდა მე ის შლიახტიჩი... მას უნდოდა უცბად ჩავეგდე ხელში, მაგრამ მე თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა, რომ პირდაპირ მივცემოდი ხელში და გავკაჟდი. მე ყმა არა ვყოფილვარ არასოდეს. ურიას ჩემთან ხელი აღარა ჰქონდა—ბევრი ფული მივარტყი თავში.—და მაშინ კრაკოვში ვცხოვრობდი. აბა ცხოვრება მაშინა მქონდა, აი! ოქროც ბევრი მქონდა, სახლი მშვენიერი, მოსამსახურეების ბრბო, ცხენები, ეტლები... ის თითქმის ყოველ დღე იყო ჩემთან, იმას ეგონა პირველი მე ჩამოვეკიდებოდი კისერზედ... შევჯიბრდით... მაშ!.. მახსოვს, ძალიან მოქმედებდა ეს ჩემზედ და დღითი დღე ვფუჭდებოდი კიდეც სახითა. იქამდის გაგრძელდა ეს ბრძოლა, სანამ მე გავიმარჯვე. მუხლ-მოდრეკილი იდგა ჩემ წინ და მემუდარებოდა... მაგრამ რა გამოვიდა? ხელში ჩაგდება და თავის დანებება ერთი იყო იმისთვის. მაშინ კი მივხვდი, რომ ვბერდებოდი და დროთა ვითარებას დაესვა კიდეც ჩემთვის თავისი საშინელი ბეჭედი... ეს აზრი გულს შიკლავდა და მიშხამავდა სიცოცხლეს... მე მიყვარდა ის წყეული...და ის კი დამცინოდა. ოო, საძაგელი რამ იყო! სხვებთანაც დამცინოდა, განა არ ვიცოდი? მწყინდა, ვიტანჯებოდი, მაგრამ დავინახავდი ხოლმე თუ არა, ყოველი წყენა მავიწყდებოდა და იმისი მზერით ვტკბებოდი, ამას ვკმარობდი. როცა სხვა პოლონელებთან ერთად თქვენთან საბრძოლველად ისიც წამოვიდა, ვეღარ მოვითმინე და მეც უკან გავყევი. მაშინ ვარშავის ახლო ტყეში იყვნენ პოლონელნი.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1753.

ერთი მეტად დამახასიათებელი ეპიზოდი სესილ როდსის ცხოვრებიდან: 1877-ში კაპშტადტსა და კიმბერლეს შუა მიმოსვლა ურმებით სწარმოებდა. ერთხელ ერთ ამისთანა ურემში ისხდა ორი კაცი. რადგან ერთმანერთს არ იცნობდნენ, დიდხანს ერთმანეთისათვის არა უთქვამთ-რა. ერთი მათგანი წიგნს ჰკითხულობდა, შემდეგ დახურავდა მას და ზეპირად რაღაცას ბუტბუტებდა. მეზობელს თავი მობეზრდა ამ ბუტბუტით და შეეკითხა, თუ რას სწავლობდა მისი თანამგზავრი.

— კატეხისმოსა, იყო პასუხი.

კითხვის მიმცემი მეტად გაჰკვირდა და მართლაც მეტად განსხვავებული მოვლენა იყო — ინგლისურ კატეხისმის მოსწავლე ურემში აფრიკის ცის ქვეშ.

— ალბად, თქვენ მღვდელი ხართ? იკითხა ისევ პირველმა.

— არა, მე მადნის მუშა ვარ, მაგრამ ვემზადები ოქსფორდის უნივერსიტეტის ეკზამენისათვის. ამან კიდევ უფრო გააკვირვა თანამგზავრი და გააბა საუბარი კიმბერლეიზე, რომელიც იმ დროს ინგლისლებს დარჩათ, მასალოდნენ შემთხვევებზე და საზოგადოთ ამ ქვეყნის მომავალზე.

მადნის მუშა—სესილ როდსი იყო და მისი თანამგზავრი ჩარლზ უორენი, ინგლისის კომისარი, ორანჟეს რესპუბლიკის საზღვრების გამოკვლევისათვის დანიშნული.

ოქსფორდის უნივერსიტეტში ახალგაზდა როდსი იმპერიალისმის მქადაგებელი იყო—ინგლისის რასა მოდებულია ქვეყნის სამ ნაწილში; იგი უმდიდრესი, უძლიერესი და უბედნიერესი რასაა. ყველგან, სადაც კი იგი მეფობს, მეფობს „თავისუფლებაც", ამბობდა ძლიერ ინგლისის ძლიერი შვილი, და საქმითაც ემსახურებოდა თავისი სიცოცხლე ამ რასის სამეფოს გადიდებასა და გავრცელებას.

სესილ როდსი დაბინავდა კიმბერლეიში; ალმასის მადნების დამუშავება ამ დროს მრავალ კერძო პირთა ხელში იყო. ესენი ერთმანერთს კონკურენციას უწევდნენ და ალმასის და ბრილიანტების ფასიც ეცემოდა. როდსის შეგონებით, ყველა მემადნეები შეერთდნენ და ერთი საზოგადოება დააარსეს. საზოგადოების წესდების ერთის მუხლის ძალით, რომელიც როდსმა მიაღებინა ყველა წევრებს, საზოგადოების შემოსავლის განსაზღვრული პროცენტი დანიშნული იყო დიდ-ბრიტანიის სამფლობელოების გაფართოებისათვის სამხრეთ-აფრიკაში. სესილ როდსის ენერგიისა და ხსენებულ თანხის საშუალებით ინგლისის სამფლობელოს შემოუერთდა 1888 წელს ბეჩუანალენდი და ტრანსვაალისა და ორანჟეს მეზობლად მდებარე ქვეყნები. როდსი აქ არ გაჩერებულა და ვერც გაჩერდებოდა: მისი ენერგია და დიადი პლანები მას მოსვენებას არ აძლევდნენ. იგი აარსებს ახალ საზოგადოებას—ჩარტერედ კამპანიას და მის საშუალებით იპყრობს როდეზიას; შემდეგ ჯერი მიდგა სხვა მხარეებზედაც, სანამ ინგლისის ხელში არ შეგროვდა ის თვალუწვდენელი ქვეყნები, რომელთაც ეხლა იგი ბატონობს. ახლო იყო სესილ როდსის ოცნების—სამხრეთ-აფრიკის ვრცელ ფედერაციის დაარსების აღსრულებაც. საქმეს მხოლოდ ტრანსვაალი და ორანჟეს რესპუბლიკა აფერხებდა. ტრანსვაალში ამასთან მდიდარი ოქროს მადანიც აღმოჩნდა. როდსი თავისებურის საქმიანობით შეუდგა ახალ საზოგადოების შედგენას და სულ მოკლე დროში იოჰანესბურგში ისეთი ძალა შეიძინა, რომ ეგონა—ტრანსვაალის ბედის გადაწყვეტა მის ხელთ იყო. მაგრამ აქ იგი ისეთ ძალას შეხვდა, რომელთანაც მას ჯერ საქმე ჰქონდა. არა თუ როდსის ფულმა და ჯემსონის ბრბომ, ბრიტანიის შეძლებამაც და ჯარმაც ჯერ ვერა გააწყო რა ამ ძალასთან.

სესილ როდსის ოცნება იყო დიდი ბრიტანიის დროშა გადაეფარა მთელ აფრიკისათვის ალექსანდრიიდან დაწყებული კაპამდე და რომ ბურების პატარა ერის გმირული მამულიშვილობა არა, იგი თავის სიცოცხლეშივე მიაღწევდა მიზანს—აკი საფრანგეთი შერცხვენილი გამოაბრუნა ფაშოდადან.

საფრანგეთის მიზანი იყო გზა გადაეღობა როდსის პოლიტიკისათვის, მაგრამ ვერა გააწყო-რა.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, მომავალ სამშაბათის სხდომაზე მოხსენება შეიტანოს, რომ კახეთში, საუფლისწულო მამულების ახლო, დაწესდეს მორტირების სადგური **სეტყვასთან საბრძოლველად**. ეს მოხსენება შედგენილია განსაკუთრებული კომისიისაგან. ამ სადგურის გაკეთებაში მონაწილეობას იღებს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკი, რომელმაც გადასწყვიტა ამ საქმისთვის გადასდვას 5,000 მან., მხოლოდ ბანკი თანხმდება ამ ფულის გაღებას იმ პირობით, თუ რომ სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ნებას გამოითხოვს, რომ შეღავათით ეძლიოთ მორტირები და თოფის წამალი.

◆ ხუთშაბათს, 14 მარტს, სამეურნეო ბანკის სადგომში შესდგა ახლად დაარსებულის **ქართველ ქალთა ამხანაგობა „თამარი"-ს** კრება, რომელმაც აირჩია გამგეობის წევრებათ: გრაფ. ან. აპრაკსინისა, კნიაჟ. ე. თარხნიშვილის ასული, დ. დ. დეკანოზიშვილის ასული, კნ. თ. ზ. თარხნიშვილისა, კნიაჟ- მ. ამილახვარი, კნ. ფალავანდოვისა და კნ. ჯავახიშვილისა. აგრეთვე არჩეულ იქმნენ სხვა-და-სხვა სოფლებში აგენტები: საქაშეთში—თ. მ. ნ. დისამიძე, ს. ნიჩბისში—კნიაჟ. თ. ციციშვილის ასული, მეტეხში—ანნა და ბარბარე მალალაშვილისა და მასწ. ბაბალოვი, სოფ. ტირძნისში—მასწ. გულისაშვილი და ა. გ. თარხნიშვილი. აგენტებს დაავალა ამხანაგობამ შეკრიბონ თავიანთ რაიონებში ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მეაბრეშუმეები არიან და რამოდენი მისხალი აბრეშუმის გრენია მათთვის საჭირო. ამხანაგობას საგნად აქვს ამ თავითვე შეუდგეს თუთის ხეების გავრცელებას ქართლში, გაიმართოს სოფლებში თუთის ხის სანერგეები, საიდანაც მსურველებს შეეძლებათ უფასოდ შეიძინონ საჭირო ნერგები და სხვა. წილის (პაის) ფასად კრებამ დაადგინა გადახდეს წევრებს 10 მან., მეაბრეშუმეებს შეუძლიათ გადიხადონ ეს ფული ნაწილ-ნაწილად, ანა და ფულის მაგივრად შეიტანონ მეაბრეშუმეობის ნაწარმოები (პარკი ან აბრეშუმის ძაფი). დასასრულ კრებამ დაავალა ი. გ. ქუთათელაძეს შეადგინოს ამხანაგობისათვის შესაფერი წესდება და წარუდგინოს შემდეგ კრებას.

◆ ჩვენს ისტორიკოს ბ-ნ მ. ჯანაშვილს მოუვიდა იტალიურს ენაზე რომში დაბეჭდილი წიგნი „Bessarione". (ამ სახელწოდებით რომში გამოდის პერიოდული გამოცემა, რომელსაც მიზნად აქვს აღმოსავლეთ ქვეყნების შესწავლა.) სხვა წერილებს შორის საყურადღებოა ამ წიგნში გამოკვლევა შემდეგის სათაურით „საქართველოს ეკკლესია და მისი დასაწყისი". ავტორი გადმოგვცემს ცნობებს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ პირველიდან მეოთხე საუკუნემდე; შემდეგ მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები წმ. ნინოს შობა აღზრდისა, მისი საქართველოში მოსვლისა, ქადაგებისა და გარდაცვალების შესახებ. წერილის ბოლოში შეეხება ანდრია მოციქულის საქართველოში მოგზაურობასა და ქადაგების ამბავს. როგორც წერილის შინაარსიდან სჩანს, ავტორი ჩვენის საეკკლესიო ისტორიის შესახებ წერას განაგრძობს ჩვენს საუკუნემდე.

◆ რამდენიმე ხნის წინად რომში დაბეჭდილა და გამოსულა გასასყიდად ვინმე ავრელიო პარმიელის წიგნაკი ამ სახელწოდებით „ეკკლესია საქართველოსი და მისი დასაწყისი". ამ გამოკვლევის შესახებ საყურადღებო წერილი აქვს მოთავსებული პროფესორს მარს ამ წლის „კავ. ვესტნიკის" მეორე ნომერში.

◆ 16 მარტს მოხდება სხდომა **კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოებისა**, რომელზედაც, სხვათა შორის, წაკითხულ იქმნება მოკლე ანგარიში კავკასიის ექიმების წარსულ მეორე კრების შესახებ ტფილისში; ამასთანავე მოხსენებული იქნება კითხვა, რომ შუამდგომლობა აღიძრას, ნება დართულ იქმნას კავკასიის ექიმთა მესამე კრების მოწოდებისა ტფილისში.

◆ 14 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მიენდო **ხორცით სავაჭრო საქალაქო დუქნის** მოწყობის შესახებ საბჭოს გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. კომისიამ განიხილა მთელი საქმის შესახები მასალა და გარდასწყვიტა: 1) შეუდგნენ ეხლავე ქალაქის დუქნის მოწყობას, რაც დაევალოს ქალაქის სასანიტარო—სამკურნალო ინსპექტორს ნ. სტეფანოვს, სავაჭრო პოლიციის უფროს ზედამხედველ ბაბოვსა და მის თანაშემწე ფურცელაძესთან ერთად, რისთვისაც დუქნის მოსაწყობი ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქმნა. დუქნის მოსაწყობად გადადებულია 2200 მან., 2) დამტკიცებულ იქნეს აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც 700 მან. უნდა გადაიდვას საწარმოებელ თანხად; 3) ხორცის სავაჭრო დუქნისათვის დაქირავებულ იქნეს ადგილი შუა ბაზარში ანუ თამამშევის ქარვასლაში, იქ, სადაც მოთავსებულია „შრომის" ბიურო; 4) დაევალოს ქალაქის გამგეობის წევრს ენფიანჯიანცს შეიმუშაოს წესი, თუ როგორ მოეწყოს ქალაქის საკუთარი ბაკი და სათივე სასაკლაო საქონლის შესანახად და 5) იყიდონ ეხლავე 100 სული საქონელი, რომელთაგან ყოველ დღე 10 დააკლას ხოლმე ქალაქის დუქანში გასასყიდათ.

◆ **შემახიელების სასარგებლოთ** მივიღეთ: ნატალია და როზა თუმანიშვილებისაგან—5 მან. ანნა ქაჩხოევისაგან 1 მ. და №№ 1 მ. სულ 7 მანეთი.

◆ ოზურგეთიდან გვწერენ, რომ 10 მარტს გამართულ იაფ-ფასიან ქართულ წარმოდგენიდან დარჩა სულ 69 მ. 34 კაპ.; აქედან 59 მ. 34 კაპ. დაიხარჯა; წმინდა შემოსავალი ერთი თუმანი გაეგზავნება ქართ. დრამატ. საზოგადოებას **არტისტების დამხმარებელ ფონდის** გასაძლიერებლად.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ბიურო მარტის უკანასკნელ რიცხვებში მიიღებს **მეურნეთათვის საჭირო წამლებს**: შაბიამანს, გოგირდს და სხვ.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებთან რიგიანად მოეწყოს სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღებისა თუ თესლეულების ფასის შესატყობი და საკომისიო **ბიურო**, რომლის წესდების პროექტი უკვე შეუდგენია მიწად-მოქმედების დეპარტამენტს. ვიდრე პროექტი დასამტკიცებლად უმაღლეს მთავრობას წარედგინება, დეპარტამენტს საჭიროდ უცვნია მოისმინოს აზრი სამეურნეო საზოგადოებათა და ამიტომ გუშინ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოსაც მოუვიდა მოწერილობა მიწად-მოქმედების დეპარტამენტისაგან, რომელიც სთხოვს საბჭოს: განიხილეთ ბიუროს პროექტი და თქვენი მოსაზრება წარმოგვიდგინეთო.

მაგრამ როცა მიველი, გავიგე, რომ რუსებს უკვე გაემარჯვნათ... და ის კი, იქვე, მახლობელ სოფელში ჰყავდათ დატყვევებული.

„მაშ ველარ ვნახავ მეთქი"—გადავწყვიტე, ნახვა კი ძალიან მინდოდა. რასაკვირველია, მე ყოველი ღონე ვიხმარე, რომ ჩემს არკადეკს როგორმე შევხვედრილიყავ... გლახურათ ჩავიცვი, კოჭლობა დავიწყე და ისე გავწიე იმ სოფლისაკენ. თითქმის ყოველ ნაბიჯზედ სალდათები და ყაზახები იყვნენ... ადვილი არ იყო იქ ყოფნა! გავიგე, სადაც იყვნენ პოლონელები და ისიც, რომ დღისით მისვლა მათთან ყოვლად შეუძლებელი იყო. ერთ ბნელ ღამეს ორი ვერსტი მეტი გავიარე მუცელზედ ხოხვით და ჭის იყო მიველი კიდეც მიზნამდინ, რომ წინ უცბად რუსის სალდათი კი ამეტუზა. ისე ახლო ვიყავ მიზანთან, რომ პოლონელების ლაპარაკი და სიმღერა მკაფიოდ მესმოდა. მახსოვს, ღვთის მშობლის საგალობელს ამბობდნენ. ჩემი არკადეკიც იქ იყო... რაღა დროს ამაზე ფიქრი იყო, მაგრამ მე მაინც გავიფიქრე უცბად —ეჰ, რა ხარ, უწყალო დროვ? იყო დრო, როცა ჩემი გულისთვის სხვები დასცოცავდნენ დედამიწაზედ და ახლა კი მე მივდივარ სხვასთან ხოხვით და ისიც ვინ იცის, იქნება სასიკვდილოთაც - მეთქი! ყარაულმა ფაჩუნი გაიგონა და წამომიგდო ყური. რა უნდა მექნა? ავდექი და პირდაპირ წაველი. არც დანა მქონდა და არც თუ სხვა რამე იარაღი ხელებისა და ენის გარდა. შეუბრალებელმა სალდათმა მომადო კიდეც ყულზე ყინულსავით ცივი „ხიშტი"... მე წავიჩურჩულე—„დაიცა!" ნუ მომკლავ ჯერა, თუ ადამიანური გრძნობა კიდევ შეგრჩენია, მეთქი. ვერაფერს მოგცემ, არა მაქვს რა, მაგრამ გემუდარები"! სალდათმა თოფი ჩამოუშვა და ჩურჩულით დამეკითხა: „რა გინდა, რისთვის მოთრეულხარო? მე უთხარი—შვილი მყავს მეთქი აქ დატუსაღებული... „გესმის შვილი, შვილი! შენც ხომ შვილი ხარ ვისიმე, არა? ჰო და აბა შემომხედე—მე ეგეთივე შვილი მყავს, როგორც შენა და აგერ, სად არის! ერთი დამანახვეთ მაინცა, იქნება მოკვდეს მალე... ან იქნება შენ მოგკლან ხვალა... ხომ გიტირებს დედა-შენი? დედის უნახავათ სიკვდილი არც შენთვის იქნება ადვილი!.. შეგვიცოდე მეც, ჩემი შვილიც და შენი თავიც!"..

— ოჰ, რამდენი ლაპარაკი მომინდა! წვიმა გვიშხაპუნებდა და თავიდან ფეხამდის გვასველებდა. ქარი ღმუოდა, ღრიალებდა და გაშმაგებული ხან ზურგში დაგვეტაკებოდა და ხან გულში. ვიდექი ამ ქვისა და აკლდამის წინ და საცოდავათ ვქანაობდი... ის კი სულ „არას!" გაიძახოდა და რაც უფრო ხშირად მესმოდა ეს სიკვდილსავით ცივი სიტყვა, მით უფრო ძრიელ მინდოდა ჩემი არკადეკის ნახვა... ველაპარაკებოდი და თან თვალებით ვზომავდი ჩემ მოპირდაპირეს. პატარა, ხმელი ტანისა იყო და სულ ახველებდა. ბოლოს ჩავიჩოქე ტლაპოში, მოვეხვიე მუხლებზე და ისე ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი—შორიდამ მაინც დაენახვებინა ჩემთვის ჩემი არკადეკი. ამ ხვეწნა-მუდარის დროს უცბად ისეთის ძალით მოვწიე მუხლებში, რომ საცოდავი ტლაპოში გადავაქციე. მაშინ კი წამოვხტი ფიცხლავ, თავი მიწისკენ მივუბრუნე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელები დავაჭირე. იმიტომ ვჩაღიოდი ამას, რომ არ დაეყვირა; მაგრამ ვიღამ დააცალა, რომ დაეყვირნა—ის იმას სცდილობდა მხოლოდ, რომ როგორმე გადავეგდე ზურგიდამ და განთავისუფლებულიყო... მე-კი იმდენს ხანს ვაწვებოდი, სანამ სული არ ჩავახრჩე ტლაპოში.... შევატყე თუ არა, რომ სალდათი საშიში აღარ იყო ჩემთვის, ფიცხლავ წამოვხტი და იმ ქოხს ვეცი, საცა არკადეკი მეგულებოდა. „არკადეკ!" ბელლის ნაპვრეტიდამ შევჩურჩულე. პოლონელები ძალიან მიხვედრილები არიან—მოჰკრეს თუ არა ჩემს ხმას ყური, სიმღერა შესწყვიტეს. ერთი წუთიც და არკადეკის მშვენიერმა თვალებმა ჩემ წინ გაიელვეს „შეგიძლიან როგორმე გამოხვიდე?"—„ჰო, ქვეიდამ შეიძლება გამოსვლა!" მამიგო იმან.—„მაშ გამოდით!" ცოტა ხნის უკან ოთხი კაცი გამოვიდა—ჩემი არკადეკი და სამიც სხვა. „ყარაულები სად არიან?" დამეკითხა არკადეკი. —„აგერ სძინავს!"... ნელის ნაბიჯით, წელში მოღუნულებმა გასწიეს წინ და როცა სალდათს გაუსწორდნენ, გინება და ფურთხება დაუწყეს: არკადეკმა-კი აიღო თოფი და შიგ წელში ჩასცა „ხიშტი". წვიმამ მოუხშირა და ქარმა უფრო საშინელი ღრიანცელი მორთო. ჩვენ სოფლიდამ გაველით და კაი ხანს ტყით მივდიოდით. ძალიან მივეჩქარებოდით. მე და არკადეკი ხელი-ხელ ჩაჭიდული მივდიოდით. იმას ცხელი ჰქონდა ხელი და უცახცახებდა. ოჰ სანამ მივდიოდით და ჩუმათ იყო არკადეკი, მეტის-მეტ ბედნიერადა ვგრძნობდით თავსა, ეს ბედნიერნი წუთნი უკანასკნელნი იყვნენ ჩემთვის. ბოლოს ტრიალ მინდრზედ გაველით და გავჩერდით. ოთხთავენი მადლობას მიხდიდნენ. დიდი ხანი მელაპარაკებოდნენ, მაგრამ არ მახსოვს—რას ამბობდნენ! მე გაჩუმებული შევყურებდი ჩემს არკადეკს და თან ვფიქრობდი: „ვნახოთ, რას იზამს ეხლა და როგორ მომექცევა-მეთქი!" ბოლოს გადამეხვია და მედიდურად მითხრა... აღარ მახსოვს, რა მითხრა, მაგრამ ის აზრი კი გამოდიოდა, რომ ეხლა დავალებული ვარ შენგნით და დღეის იქით მეყვარებიო... დამიჩოქა და ღიმილით „ჩემო დედოფალოო!" მითხრა. აი რა ცრუ და მატყუარა ძაღლი იყო!.. გავბრაზდი, წიხლი წავკარი და უექველად სახეში გავარტყამდი, რომ უცბათ არ მომშორებოდა და პირი არ მოერიდებინა. ფერ-წასული და ბრაზ-მორეული კაი ხანს იდგა ჩემ წინ და რაღასაც ჰფიქრობდა, თითქოს რაღასაც აპირებს, მაგრამ ჯერ ვერ გადაუწყვეტიაო. დანარჩენებიც გაჩუმებულნი იდგნენ. მე შევხედე... მახსოვს, რაღაც ნაირად მოვეშვი ჯანში და დავუყვირე, რომ წასულიყვნენ. იმ ძაღლებმა კი მკითხეს: „იქ ხომ არ წახვალ და ჩვენ გზას ხომ არ აჩვენებო?" ნახე, რა უსინიდისონი იყვნენ? მაინც გამშორდნენ და გზას გაუდგნენ. ცოტა ხნის უკან მეც დავბრუნდი... მეორე დღეს თქვენებმა დამიჭირეს, მაგრამ მალე გამიშვეს. მაშინ კი მი-

◆ 14 მარტს საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ განიხილა ქალაქის საბჭოს დადგენილება **ცეცხლის მქრობელი რაზმისთვის** სადგომის აშენების შესახებ და აგრეთვე 70,000 მან. სესხზე საკრედიტო საზოგადოებისაგან, რომ ეს სადგომი აშენდეს. საკრებულომ ეს დადგენილება დაამტკიცა. აგრეთვე დაამტკიცა საკრებულომ მეორე დადგენილებაც, რომ ქალაქმა თავის ფულიდან გამოიღოს 20,000 მან. ქალაქის ხორცის დუქნის გახსნისა და საკლავი საქონლის ყიდვისათვის.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსი ინჟინერი **ივანოვსკი** გუშინ გაემგზავრა ყარსის რკინის გზის დასათვალიერებლად.

◆ 14 მარტს ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ქალაქის **სასწავლებელთა გამგე კომისიას**. სხვათა შორის, კომისიამ განიხილა ამას წინად ქალაქის სკოლების გამგეობის შეერთებულ სხდომის გარდაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გამოწერილ იქნეს გოგოლის თხზულებები ქალაქის სკოლების მოწაფეებისათვის. კომისიამ ეს მოხსენება უყურადღებოდ დასტოვა იმ მოსაზრებით, რომ ამ საქმის შესახები კომისიის წინანდელი გარდაწყვეტილება უკვე დამტკიცებულ იქმნა საბჭოსაგან. ამავე სხდომაზე გარდაწყვეტილ იქმნა დაევალოს კომისიის წევრებს, ლისიციანსა და მელიქ ბეგლიაროვს, შეიმუშავონ პროექტი, თუ როგორ აღნიშნოს ქალაქის გამგეობამ რუსეთის გამოჩენილ მწერლის ჟუკოვსკის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების დღე. ამას წინად კომისიამ გადასდვა 300 მან. ქალაქის სკოლისათვის ბუნდოვან სურათებიან ფარანის შესაძენად. რადგანაც სხდომაზე გამოირკვა, რომ ფარანი 120 მანეთად შეიძლება შეიძინონ, ამიტომ კომისიამ დაადგინა აღნიშნულ 300 მანეთით ორი ფარანი იყიდონ და დანარჩენ 60 მანეთით-კი სურათები გამოიწერონ სკოლებისათვის.

◆ 14 მარტის სხდომაზე ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ ქალაქის სკოლების სამეურნეო ნაწილის გამგედ ამოირჩია ბ-ნი **ცერმინასოვი**.

◆ ხვალ, 17 მარტს, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდება საზოგადო კრება ტფილისის საურთიერთო **დამზღვევ საზოგადოების** წევრთა, რომელთაც განსახილველად აქვთ რამდენიმე საქმე.

◆ კავკასიის გამოფენის მდივნის ბ. ლევ. ყიფიანის მიერ გამორკვეულ ცნობებიდან სჩანს, რომ კავკასიის სამოსწავლო უწყების გიმნაზიებისა და სკოლებიდან და სხვა უწყებათა სასწავლებელთაგან **კავკასიის გამოფენა დაუთვალიერებია** სექტემბერში 8,648 მოსწავლეს, ოქტომბერში 10,624 და ნოემბერში 750, სულ 20.024 მოსწავლეს.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსმა, თანახმად სამოსწავლო უწყების თხოვნისა, მიჰმართა რკინის გზების უმთავრესს სამმართველოს შუამდგომლობით, რომ კიევში მიმავალ ტფილისის საშუალო სასწავლებლების შეგირდთ დაეთმოთ შეღავათიანი **გზის ფასებს**, ე. ი. კაცის თავზე გადახდეთ კიევამდე ოთხი მან., აგრეთვე აქეთკენაც 4 მან.

◆ ამ დღეებში ტფილისიდან ქუთაისს გაემგზავრნენ ტფილისის საბაღოსნო სკოლის უფროსი კლასის მოწაფენ თავიანთ მასწავლებლის გროსსერითურთ, **რათა პრაქტიკულად შეისწავლონ ვაზის გასხვლა**; მოწაფეები იმუშავებენ ამერიკული ვაზის „კლოჟგურულ“-ის სანერგეში ბ. ტიებოსი, სადაც შეგირდების სამუშაოდ მთელი მოედანია გადადებული რამდენიმე ათასის ვაზით. შემდეგ მუშაობისა შეგირდები დაათვალიერებენ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლას და ზოგიერთ კერძო პირთა ვენახებს, რომელთა შენახვაც კარგად არის დაყენებული. შეგირდების გაგზავნა ქუთაისში იმან გამოიწვია, რომ წელს ისინი უსაქმოდ დარჩნენ, რადგანაც მოედნის უდიდესი ნაწილი წარსულ გამოფენას ეჭირა და აგრეთვე ვენახი არა ქონდათ სკოლასთან. სკოლისთვის ყურძნის ვაზი გამოწერილია და ვენახს სკოლასთან მომავალ წელს განაახლებენ.

◆ გორიდან გვატყობინებენ, რომ გორის ახლო, ერთ სოფელში ერთს მემამულეს ეტლით სწვევია აზნაური ყ., რომელიც შესულა სახლში და ეტლი პატარა ხანს დაუტოვებია. ამ დროს ამ სტუმრის ერთი სახლი-კაცი გაჩენილა საიდანღაც, ჩამჯდარა ეტლში და დაუწყია აქეთ-იქით სეირნობა. ყ. გამოსულა სახლიდან და დაუნახავს, რომ იმის ეტლს დააჭენებს იმის სახლი-კაცი; ჯერ შელაპარაკებულან, შემდეგ ყ—ს ჯოხი დაურტყამს, იმას უძვრია ხანჯალი და **სასიკვდილოდ დაუჭრია** მუცელში.

◆ ტფილისის სახაზინო პალატამ წინადადება მისცა ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ—**პირველ აპრილამდის** ცნობები წარმოადგინონ ხარჯის გამნაწილებელ საკრებულოში, როგორი ვაჭრობა ჰქონიათ ან რა მოგება დარჩენიათ თავის ქარხნებში.

◆ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა პოლიცმეისტერს, რომ, თანახმად ტფილისის აგურხანათა პატრონების თხოვნისა, იმან ნება დართო აგურხანებში **იხმარონ მაზუთი** ექვსი თვის განმავლობაში. ეს ნებართვა შეეხება აწ არსებულ აგურხანებს.

◆ გუბერნატორმა დაავალა პოლიცმეისტერს, გამოუცხადოს **დახურულ ბაზრის** პატრონებს, რომ იმათი შუამდგომლობა ვადის გაგრძელებაზე ბაზრის შეკეთების გამო, არ არის შეწყნარებული და ბაზარი, როგორც ხალხისათვის საშიში შენობები, უნდა დაიკეტოს 19 მარტიდან. ამავე ცხრამეტ მარტს ირჩევა საქმე სასამართლოში, რომელიც ადმინისტრაციამ აღძრა, რომ სულ დაქცეულ იქმნას დახურული ბაზარი.

◆ ტფილისის გუბერნიის საპატიმროების საავადმყოფოებში წასულ თებერვლის განმავლობაში ყოფილა ავადმყოფი 179 ტუსაღი მამაკაცი, ქალი-17 და ყმაწვილი-11. მათგან მორჩენილა 83 მამა კაცი, 7 დედა-კაცი და 4 ყმაწვილი, გარდაცვლილა 4.

◆ გადამდებ სენით ტფილისის საავადმყოფოში ამ თვის 11-ს მიღებულ იყო 8 ავადმყოფი ქუნთრუშით, 4 ხუნაგით; მათგან ერთი გარდაიცვალა ქუნთრუშით და სამიც მორჩა. საავადმყოფოში ამ ხანად თავისუფალი ადგილი არის 20.

◆ სოფელ ალეანში (თიანეთი მაზრა). გაჩენილა წითელა, რომლითაც გამხდარა ავად 19 სული; სოფელ გურჯაანში (სიღნაღის მაზრა) ხუთი კაცი ქუნთრუშით გამხდარა ავად.

◆ გუშინ-წინ, 14 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ალექსანდრე გოგიტაშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა 14 წლის გასათხოვარი ქალის, ნადეჟდა ფოცხვერაშვილის მოტყუება და გაუპატიურება. სასამართლომ გოგიტაშვილს მიუსაჯა 8 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ 13 მარტს, ღამის თერთმეტ საათზე 803 ვერსზე ნახეს გვამი რემონტის მუშის მირ-ჰამზა-მირ-ოღლისა, რომელიც, როგორც ეტყობა, გამვლელ მატარებელს მოჰყოლია ქვეშ და გაუსრესია.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო შეუდგა მოსამსახურეთა სიების შედგენას, რომელთაც სააღდგომოთ ფულით საჩუქარი უნდა დაურიგონ 1900 წ. რკინის გზის წარმოებისა. ჯერ არ იციან, რამდენია გადადებული ფული ჯილდოს დასარიგებლად.

ქუთაისის ახალი ამბები

〜 ამ თვის 11-ს აქ ჩამოვიდა ფინანსთა სამინისტროსაგან გამოგზავნილი მოხელე, რომელსაც აქაური საურთიერთო ნდობის ბანკის რევიზიის მოხდენა ჰქონია მინდობილი. ჩამოსვლისთანავე მოხელე ბანკში მისულა, თავის ვინაობა გამოუცხადებია და იმწამსვე რევიზიაც დაუწყია. ამ ნაირი რევიზიები მოხდა რუსეთის სხვა ბანკებშიაც.

〜 25 მარტისთვის დანიშნულია წარმოდგენა ნიჭიერის მსახიობ-ქალის ნინა ჩხეიძის სასარგებლოდ. გასულ სეზონში სიმპატიური არტისტ-ქალი იძულებული იყო, ავადმყოფობის გამო, დროებით განშორებოდა საყვარელს სცენას. იმედია, ქუთაისელები გულ-გრილად არ დახვდებიან ამ წარმოდგენას; წრევანდელმა მაგალითმა საკმაოდ დაარწმუნა ისინი, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს ჩვენის სცენისათვის ნინა ჩხეიძე. მარტო ზნეობრივი დახმარება არ კმარა, ახლა არტისტისთვის საჭიროა აგრეთვე მატერიალური დახმარებაც.

〜 გულის შემაწუხარი ამბავი მოხდა 12 მარტს არხიერეისკი ქუჩაზე, კ. დორთქიფანიძის სახლში. ამ სახლში ორი სემინარიელი—დ. კინწურეიშვილი და გ. გაბისონია სცხოვრობს, ორივე აქაური სემინარიის პირველი კლასის მოსწავლენი არიან და ორივე საუკეთესო მოწაფედ ითვლებიან.

კინწურეიშვილს უცაბედად თოფი გავარდნია და საბრალო თავის საყვარელი ამხანაგი გაბისონია იქვე მოუკლავს. გულის შემაწუხებელ-მდგომარეობაშია მკვლელი კინწურეიშვილი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა თურმე თავისი ამხანაგი გაბისონია. მოხდა თუ არა უბედურება, კინ—ლი გიჟსავით ქუჩაში გამოვარდა საშინელის ღრიალით და იქვე პოლიციელს შეეჩეხა თურმე და გამოუცხადა უბედურების ამბავი. ყმაწვილი კაცის სულის შფოთვამ მეტად შეაწუხა დამსწრე საზოგადოება.

მოკლული ვლადიმერ გაბისონია—ზუგდიდის მცხოვრებელი ყოფილა. ამბობენ, მეტად ნიჭიერი ყმაწვილი ყოფილა. ამ ოთხი თვის წინად მამა მოჰკვდომია და საბრალო დედის იმედი მარტო ამ ყმაწვილზედ-ღა დარჩენილა. თვითონ კინ—ლი, ამბობენ, მეტად უწყინარი, თვისნიერის ხასიათის ყმაწვილია და თვალ-საჩინო ყოფა-ქცევის და მეცადინე ყოფილა.

რუსეთის ქრონიკა

ფილანდიის ამბები

„ფინლანდსკ. გაზეთ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური განცხადება:

„28 თებერვალს ჰელსინგფორსის სასამართლოში გაირჩა საქმე ადვოკატის კასტრენისა, წიგნების მაღაზიის პატრონის ხაგელსტამისა, დოცენტის ტერნგრენისა, რატმანის ლინბერგისა და მაგისტრის ლუნდსტრემისა, რომელთაც ბრალდებათ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, როდესაც ის თავის მოვალეობას ასრულებდა და ივ. გრუნსტრემის სახლს სჩხრეკავდა. სასამართლოში შემდეგი აღმოჩნდა:

როდესაც პოლიცია მივიდა გრუნსტრემის სახლის გასაჩხრეკად, ის სხვაგან იყო და ტელეფონით შეატყობინეს. გრუნსტრემმა თავის მხრით მაშინვე აცნობა საქმის გარემოება ადვოკატს კასტრენს. უკანასკნელმა მოწმეებად მიიწვია ტერნგრენი და ხაგელსტრემი და მივიდა გრუნსტრემის ბინაზე, სადაც მალე მივიდნენ აგრეთვე სხვა ზემოდ დასახელებულნი პირნიც. კასტრენს ბრალად ედება შემდეგი: შევიდა თუ არა იმ ოთახში, სადაც პოლიცია სჩხრეკდა წიგნებსა და ქაღალდებს, კასტრენმა გინებით შეურაცხჰყო პოლიციის კომისარი და შემდეგ ხელიდან გამოგლიჯა მას ტელეფონი (კომისარი იმ დროს პოლიცმეისტერს ატყობინებდა გაჩხრეკის ამბებს) და იყვირა—გარეთ გაე-

---

ვხვდი, რომ პეწი წამხდომოდა და ფეხის მოკიდების დრო მოსულიყო. ახლა კი მეყოფა ოფოფსავით ერთის ბუდიდამ მეორეში ფრენა-მეთქი ვიფიქრე. ამისთანა ცხოვრებისთვის აღარა ვვარგოდი-დავმძიმდი, ფრთები დამისუსტდნენ და გახუნდნენ... გადავწყვიტე და წაველი კიდეც გალიციაში, იქიდან ლობრუჯაში დავბრუნდი და აგერ ოც და ათი წელიწადი იქნება, რაც აქა ვცხოვრობ. ქმარიცა მყავდა, მალდავანელი იყო; ერთი წელიწადია, რაც დავმარხე... და ასე, როგორცა მხედავ, ვცხოვრობ მარტოთ მარტო... არა, მარტო კი არა აგერ იმათთან.

მოხუცმა ზღვისკენ გაიქნია ხელი. იქ ყველა სდუმდა. დრო გამოშვებით თუ დაიბადებოდა ხოლმე, რამე მოკლე ხმაურობა, მაგრამ მოგატყუილებდათ და იქვე, იმ წამსვე ჩაჰკვდებოდა.

—ვუყვარვართ კია, ღვთის წინაშე. რამდენ რამეს უამბობ ხოლმე! იმათაც ეგ უნდათ—ჯერ ყმაწვილები არიან... იმათთან მეც კარგათა ვგრძნობ თავსა. შევყურებ და ვფიქრობ: ერთს დროს ხომ მეც ესეთი ვიყავი მეთქი... მხოლოდ, ჩემ დროს ადამიანს უფრო მეტი ძალა ჰქონდა, ძლიერი გრძნობა და სიცოცხლის სიყვარული,—კიდეც იმიტომ იყო, რომ ჩვენ უფრო მხიარულად და გემოიანად ვსცხოვრებდით... დიაღ!

სთქვა ესა და გაჩუმდა. მე-კი კიდევ დიდხანს შევცქეროდი და მოწყენილად ვგრძნობდი თავსა. ის-კი ბურანში იყო, თავს აქანდურებდა და ჩუმად, ჩუმად რაღასაც ბუტბუტებდა—იქნება ლოცულობდა.

ზღვიდამ შავი და რაღაც საოცარი მთაგრეხილის მსგავსი ღრუბელი ამოდიოდა და აუჩქარებლივ ველისკენ მისცურავდა. დრო გამოშვებით მათ მწვერვალს ღრუბლის ნაჭრები სწვდებოდნენ ხოლმე და წინ მიდიოდნენ. ლეგა ღრუბელნი ხან ერთ ვარსკვლავს ჩააქრობდნენ ხოლმე და ხან მეორეს. ზღვა ჰგმინავდა. იქვე, ჩვენ ახლოს, ვაზის ფოთლებს შეფარებულნი მიჯნურნი ჰკოცნიდნენ ერთმანეთს და ჩუმათ კურკურებდნენ. სადღაც ველის სიღრმეში ძაღლი ჰყეფდა... ჰაერი წუთიდამ წუთზე მძიმდებოდა და რაღაც საოცარი სუნით ივსებოდა. ღრუბელთა ჩრდილი ხან გაჩნდებოდა დედა-მიწაზედ და ნელა მისცურავდა, და ხან გაჰქრებოდა... ჩაჰქრა მნათობი ღამისა და მის ადგილზედ მტრედის ფერი ადგილი-ღა დარჩა, რომელსაც ლეგა ღრუბელი ხანდისხან სრულიად დაჰფარავდა ხოლმე. შორე ველი-კი, რომელიც საშინელ უკუმეთ ბნელად გადაიქცა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს მარტო დროებით მიყუჩებულა, რომ რაღაც საზარელი სანახავი დაჰფაროსო. ამ უკუმეთ სიბნელეს რაღაც საოცარი ცის-ფერი ნაპერწკლები არღვევდნენ, ისინი აქა-იქ აენთებოდნენ ხოლმე, მაგრამ იმ წამსვე ჰქრებოდნენ, თითქოს ამ უკიდო და უსაზღვრო ველზედ ხალხი გაბნეულა და რაღასაც ეძებსო, მაგრამ გაჰქრავენ თუ არა წუმწუმას, გააფთრებული ქარი უქრობს ულმობლად და ისევ სიბნელეში სტოვებსო. ეს საოცარი ნაპერწკალნი ველის ისედაც ფანტასტიურ კოლორიტს ერთი ათად აორკეცებდნენ და რაღაც საარაკო სურათს უხატავდნენ ადამიანის თვალსა.

— ჰხედავ იმ ნაპერწკლებსა?—დამეკითხა იზერგელი.

— აიმ ცის ფერებსა?—ველისკენ გავიშვირე ხელი და მე თვითონ დავეკითხე.

— ცის ფერი? ჰო, ჰო იმათ... მაშ ისევ ყოფილან ჰა? მე დავბერდი და ვეღარასა ვხედავ.

— საიდან არიან ის ნაპერკწლები, შენ გეცოდინება!—დავეკითხე მოხუცსა. მე უწინაც მქონდა ამ ნაპერკწლების ამბავი გაგონილი, მაგრამ მემინდოდა გამეგო იზერგელა როგორ მიამბობდა.

— ეს ნაპერწკლები დანკოს ცეცხლ-წაკიდებულ გულისაგან არიან. ყოფილა თურმე ქვეყნად გული, რომელსაც ერთ დროს ცეცხლი წაჰკიდებია... და ეგ ნაპერწკლები ეხლა იმისაგან არიან. მაგასაც გიამბობ. ეგეც ძველის-ძველი ზღაპარია... სუყველაფერი ძველია, ძველი! ჰხედავ, ძველებურ დროს რამდენი რამე ყოფილა?..—ეხლა კი აღარაფერია იმისთანა... აღარც ხალხი, აღარც საქმენი და არც ძველებური ზღაპრები... სადა? აბა მითხარი! ვერ მეტყვი... შენ რა იცი? ან რა უნდა. იცოდეთ ყმაწვილებმა? ეხ, ხეხე! ჩააკვირდით წარსულს და იქ ბევრს რასმეს გაიგებთ, ბევრს ისწავლით... თქვენ კი მას არ აკვირდებით და ამიტომ არც იცით ცხოვრება... განა მე ვერა ვხედავ ცხოვრებასა? ოხ, სუყველაფერს ვხედავ, თუმცა დავბერდი და მხედველობა დამეკარგა [illegible] კარგათა ვგრძნობ, რომ ხალხი კი [illegible]ვრობს, ეხლა ემზადება, მხოლოდ ემზადება საცხოვრებლად და ამაზე ჰხარჯავს ყველა მთელ თავისს სიცოცხლეს. მაშინ კი, როცა გაჰქურდავენ თავიანთ თავსა და სამუდამოდ დაჰკარგავენ წარსულს, გაქცეულს დროს სწუხან და ბედს შესტირიან... ბედი და იღბალი აქ რა შუაშია? თავის ბედს თითონ წარმოადგენს ყველა და თითონ შეადგენს! სუყველა-ნაირ ხალხსა ვხედავ მე დღეს, მაგრამ ძლიერთ კი—ვეღარა! სად არიან ძლიერნი, სად წავიდნენ?.. ლამაზებიც უფრო-დაუფრო გვაკლდებიან.

მოხუცი დაჰფიქრდა,—ძრიერი და ლამაზი ხალხი სად წავიდა, რად გაჰქრაო—და ბნელს უკუმეთს ველს ჩააჩერდა, თითქოს პასუხს თავისს საკითხზედ იქიდან მოელისო.

მე ვუცდიდი და ჩუმათ ვიყავ, რადგან მეშინოდა სხვა რამე არ მომეგონებინა და დაპირებული ზღაპარი არ დაჰვიწყებოდა. მე კარგათ ვიცოდი, რომ, როცა იზერგილი შესცურდებოდა მოგონებათა მღელვარე ზღვაში, რაღაც ცივი ფილოსოფიით აივსებოდა ხოლმე და ხშირად მოხდებოდა, რომელიმე უბრალო, მაგრამ იზერგილას გადმოცემაში საოცარის, დროთაგან დაკვანძულ ფერადის ძაფებით შელამაზებულ ლეგენდის ბოლო, ამ ფილოსოფიის სიმძიმის და გავლენის ქვეშ სრულიად შესწყდებოდა და სამუდამოდ დაიღუპებოდა ხოლმე.

ივ. პოლუმორდვინოვი.

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою Тифлисъ, 15 Марта

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრიეთ ყველანიო. შემდეგ, როდესაც გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი წიგნები და ბროშურები პოლიციამ ეტლში ჩაალაგა და საპოლიციო სამმართველოში მათი წაღება დააპირა, ყველანი ბრალდებულნი აქეზებდნენ მეეტლეს არ აესრულებინა პოლიციის ბრძანება. კასტრენმა სასამართლოში განაცხადა, რომ იგი, როგორც ადვოკატი, მოვალედ სთვლიდა თავის თავს დახმარება აღმოეჩინა გრუნსტრემისათვის და ამიტომ წავიდა უკანასკნელის ბინაზე. თავის დანაშაულობას იგი უარ-ჰყოფდა. მეორე ბრალდებულმა რატმანმა (მოსამართლე) ლინბერგმა აჩვენა, რომ ის გრუნსტრემის სახლში მივიდა იმისთვის, რომ, როგორც მოსამართლე, დარწმუნებულიყო, მართლა სჩადის პოლიცია უკანონობას თუ არა? სასამართლოს პროკურორმა უარი განაცხადა ლინბერგისა, ლუნდსტრემისა, ტერნგრენისა და ხაგელსტანის გამტყუნებაზე, რადგან მათ მოქმედებაში „არავითარი დანაშაულობა არ იყოო“. იმის შესახებ, რომ ბრალდებულნი მეეტლეს უშლიდნენ პოლიციაში წიგნების წაღებას, პროკურორმა განაცხადა, რომ აქ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ იგულისხმება, რადგან ჯერ გამორკვეული არ იყო, რა მიჰქონდა პოლიციას. პროკურორმა მხოლოდ ის აღიარა დანაშაულობად, რომ კასტრენმა სიტყვით შეურაცხჰყო პოლიციის კომისარი. სასამართლომ გაამართლა ყველა ბრალდებულნი, ხოლო კასტრენის საქმე, მისისავე თხოვნით, გადასდო ახალ მოწმეების დასაბარებლად.

რამდენიმე დღის შემდეგ სასამართლომ გაარჩია მოხელის გოლმბერგის საქმე, რომელსაც პოლიციელი მოლოდკინი უჩიოდა საზოგადო წესიერების დარღვევასა და პოლიცისთვის წინააღმდეგობის გაწევას. გოლმბერგი სხვებთან ერთად ეკკლესიაში ჰგალობდა „ღმერთია ჩვენი ძლიერი მფარველიო“ და უშლიდა მღვდელს უმაღლესის მანიფესტის წაკითხვას; როდესაც გოლმბერგი ეკკლესიიდან გამოვიდა, მასთან მივიდა პოლიციელი მოლოდკინი და წინადადება მისცა პოლიციაში წაჰყოლოდა; რადგანაც გოლმბერგი არ დასთანხმდა, პოლიციელებმა იგი ძალით წაიყვანეს, რამაც გამოიწვია ქუჩებში ხალხის ყრილობა. როდესაც წაიკითხეს ეს ბრალდებითი ოქმი, სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გოლმბერგი თავის მხრით უჩივის მოლოდკინსა და პოლიციის კომისარს კაიტოკანგასს უკანონოდ დაპატიმრებას. პროკურორის მოთხოვნით, ორივე ეს საქმე ერთად გაირჩა. გოლდმბერგმა განაცხადა, რომ ის პოლიციელს არ გაჰყვა, რადგან არავითარი დანაშაულობა არ ჩაუდენია და მაასთანავე გამოუცხადა პოლიციელს თავისი ვინაობაც და ადრესიც მისცა; ამ დროს მოვიდა კომისარი კაიტოკანგასი; გოლმბერგი შეეკითხა: „თქვენ უბრძანეთ ჩემი დაპატიმრებაო?“ პასუხის მაგიერ კაიტოკანგასმა უთხრა პოლიციელთ: წაიყვანეთ პოლიციაშიო. მოწმეების ჩვენებით გამოირკვა კიდევ შემდეგი გარემოება: როდესაც პოლიციის მმართველობის წინ ხალხი შეგროვდა, კომისარმა გამოიწვია ცხენოსანი რაზმი, რომელიც ხალხის გასაფანტავად ცხენებით შეიჭრა შეგროვილთა შუა-გულში. მოწმეების გამოკითხვის შემდეგ პროკურორმა გამოსთქვა თავისი აზრი ამნაირად: თუმცა გოლმბერგმა მართლა გაუწია წინააღმდეგობა პოლიციას, მაგრამ ეს თვით პოლიციის უკანონო მოქმედებამ გამოიწვია. ამიტომ პროკურორმა მოითხოვა გოლმბერგის გამართლება. რაც შეეხება პოლიციელს მოლოდკინსა და პოლიციის კომისარს კაიტოკანგას, პროკურორმა მოითხოვა მათი პასუხის გებაში მიცემა უკანონო მოქმედებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ მათ თავის უხეირხულის მოქმედებით გამოიწვიეს ხალხის შეკრება და უწესოება. სასამართლომ გაამართლა გოლმბერგი; ხოლო პოლიციელი მოლოდკინი და პოლიციის კომისარი კაიტოკანგასი დამნაშავედ იცნო გოლმბერგის უკანონო დატყვევებაში და მიუსაჯა: მოლოდკინს 2 თვით დაპატიმრება, კაიტოკანგასს 200 მარკა ჯარიმა ან დაპატიმრება ერთის თვით. ბრალდებულნი უკმაყოფილონი დარჩნენ განაჩენით.

აქ მოთხრობილი საქმის გარემოება ამტკიცებს, რამდენად მოძველდა ფინლანდიის სასამართლო დაწესებულება-კანონები და, იმედია, ფინლანდიის სენატი მაინც აღადგენს სიმართლეს“.

უცხოეთის წვრილი ამბები

ამ დღეებში ოდესაში ერთი ახირებული ამბავი მოხდა. როდესაც რიშელიეს ქუჩაზე მიდიოდა ახალგაზდა და ლამაზი ქალი ა. გერმანი, უცბად წინ გადაეღობა ვიღაც ახალგაზდა კაცი და ამ სიტყვასთან „ჩემო ტურფავ“! გადაეხვია და დაუწყო კოცნა. ყმაწვილმა ქალმა ძლივ—ძლივობით დააღწია თავი ამ მოულოდნელი არშიყის ჩახუტებას. როდესაც ქალმა მოსთხოვა, აეხსნა მისთვის ეს უცნაური თავისი საქციელი, ყმაწვილმა კაცმა გაიხარხარა — „წარმოიდგინეთ, მე შევცდი.. თქვენ საშინლად გეხართ ჩემს ბიძაშვილს“, უპასუხა იმან. ეს ყმაწვილი აღმოჩნდა ვლადიმერ სემეონოვი. ქალის მამამ გადასწყვიტა სემენოვი სამართალში მიეცა. სემენოვი გერმანების სახლში მოვიდა, ბოდიში მოიხადა და სთხოვა პატიება და ამასთან აუხსნა თავისი საქციელი: „ერთს ჩემს მეგობართან დანაძლევებული ვიყავი, რომ პირველსავე უცნობ გასათხოვარ ქალს, რომელსაც ქუჩაში შევხვდებოდი, ვაკოცებდი“. გერმანის ქალმა თანხმობა გამოაცხადა საქმის მოსპობაზე იმ პირობით, რომ სემეონოვმა ორი კვირის განმავლობაში 50 მანეთი შეიტანოს მიწის ძვრისაგან დაზარალებულ შემახელთა სასარგებლოდ. ყმაწვილი კაცი დასთანხმდა ამ პირობაზე..

აი ყოჩაღი და ჭკვიანი ქალი, მედა-ჩემმა ღმერთმა!.

* *

ბევრს ადამიანს საშინელი ავადმყოფობა სჭირს, და ამგვარი ავადმყოფის განკურნება, არ იქნა და არ ექიმებმა ვერ მოახერხეს. ეს ავადმყოფობაა „მოპარვის სურვილი“, ევროპიელები ამ ავადმყოფობას კლეპტომანიას ეძახიან. ადამიანი ჯანსაღი, ჭკვა-გონებით კარგად-მყოფი, რომელსაც არავითარი გასაჭირი არა აქვს რა, სულ იმის ცდაშია, რამე მოიპაროს, თუმცა კარგადა გრძნობს ამ საქციელის საზიზღრობას! ჭეშმარიტად, საკვირველი ავადმყოფობაა!

ეხლახან ამერიკაში ერთ ქალს—მილიონების პატრონს ასამართლებდენ სასამართლოში. მერე რა დააშავა ამ დიდად შემძლებელმა ქალმა, რომ დამნაშავის სკამზე გამოსჭიმეს? ის დააშავა, რომ ერთ მაღაზიაში იმან მოიპარა ერთი უბრალო ქოლგა და რაღაც წვრილი სათამაშოები, რომლებშიაც ის სრულიად არა საჭიროებდა, თორემ თუ სდომოდა, ყველაფერს იყიდდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იმის ქმარს რამდენიმე მილიონი აქვს, თითონაც ძალიან კარგად შეეძლო ყველაფრის სყიდვა, რადგანაც, როცა ის გაჩხრიკეს, პორტმანეში ხუთას თუმნამდის ედო. ახლა რამ აიძულა, ქურდობა ჩაედინა? აი ამის პასუხად ვერაფერს ამბობენ. ზოგიერთი ხსნის, რომ ქურდობის დროს უცბად გონება ეხშობა ამისთანა ხალხს. შემდეგ თითონვე ნანობენ თავისაგან ჩადენილ საქმეს.

მსაჯულებმა, რასაკვირველია, ძალიან გაჰკიცხეს ეს ქალი და შემდეგ ქმარს გადასცეს, რომ ექიმების დახმარებით მოეშლევინებინა ქალისთვის ეს ეს საძაგელი საქციელი. ამ გვარი ავადმყოფობის გამო ერთი ვექილი ჟან ბერნარდი ამბობს: „ერთხელ სასამართლოში ვიცავდი ერთს ახალგაზდა კაცს, რომელსაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში თორმეტი ველოსიპედი მოეპარა. ეს ყმაწვილი კაცი ასე იპირავდა ველოსიპედებს: ქუჩაში რომ დაენახა, ერთის წუთით დასტოვა ველოსიპედი პატრონმა და მოშორდა, ის მაშინვე მოახტებოდა ველოსიპედს და ქარივით გაჰქროლავდა, რადგანაც პირველი მოსიარულე იყო ველოსიპედით.

ქურდი სულ პირდაპირ მიჰქროდა და მხოლოდ მაშინ დადგებოდა, როცა არაქათი გამოეცლებოდა. მაშინ ის გზაზე დააგდებდა ველოსიპედს და ფეხით დაბრუნდებოდა სახლში. მოპარულ ველოსიპედებს ის არა ჰყიდდა და მხოლოდ გზაზე დაჰყრიდა ხოლმე.

მე ამ ყმაწვილს ვიცავდი სასამართლოში და დავუმტკიცე იმისი ავადმყოფობა, პარიზის სასამართლომ გაამართლა საბრალო ყმაწვილი. იმან ცოლი შეირთო და ძალიან კარგი კაციც დადგა. ექიმები ბევრს ეცადნენ და გადაავიწყეს საძაგელი ჩვეულება.

ეხლახან ჩემთან მოვიდა სანახავად ის ყმაწვილი და, სხვათა-შორის, სთქვა: „მგონია, რომ სულ მოვრჩი, მაგრამ წარსულ კვირას, როდესაც მე-და-ჩემი ცოლი ბულონის ტყეში დავსეირნობდით, დავინახე ველოსიპედი, რომელიც პატრონს ერთის წუთით ხის ქვეშ მიეყუდებინა; საშინელი ჟინი მომივიდა, შევმხტარიყავი ველოსიპედზე და გავქანებულიყავი... ასე რომ მაგრა ჩავკიდე ჩემ ცოლს მკლავში ხელი და რის ვაი-ვაგლახით საჩქაროდ ტყიდან გამოვედით. მე ვგრძნობდი, რომ თუმცა არ მინდოდა, მაინც განსაცდელი დამძლევდა“.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 მარტი

კალუგა. მდინარე ოკა აიხსნა.

ხარკოვი. გაზაფხულის დიდი 16 აპრილს დაიწყება და 14 მაისს გათავდება.

ყაზანი. სამიწად-მოქმედო ახალშენების საზოგადოების სასარგებლოდ 360 ათასი მანეთია გადადებული.

კრონშტადტი. 15 მარტს დაიწყებენ იმ საომარ გემების იარაღებით შევსებას, რომელნიც შორეულ ზღვებში წასასვლელადაა დანიშნული.

კურსკი. სახალხო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი, გენერალი რეპინი აქაურ სასწავლებლების რევიზიაშია.

ვარშავა. აქაურ საჰიგიენო საზოგადოებამ გუშინ მოისმინა მოხსენება იმის შესახებ, რომ მომავალ სამკურნალო სეზონში გერმანიის კურორტები ადგილობრივ კურორტებზე შევცვალოთ ან გერმანიის გარეშე კურორტები ვიხმაროთო.

გუშინ გამოაცხადეს პროექტი.

გუტა ბანკოვაიას საზოგადოების გამგეობამ უარი განაცხადა აქაურ ლითონთა ქარხნების სინდიკატში მონაწილეობაზე.

მოსკოვი. ამ კვირას აქ უნდა მოვიდნენ იტალიელი მუშები, რომელთაც ძვირფას ხელოვნებათა მუზეის მარმარილოს ნაწილები უნდა იმუშაონ; ამ წელს შენობას სახურავამდე აიტანენ.

ცარიცინი. ასტრახანზე ნავოსნობა დაიწყო.

ასტრახანი. ხვალ აქედან პირველი გემი გადის ზღვაში.

სოფია. ოფიციოზური გაზეთი „ბულგარი“ უარს ჰყოფს ბოლგარიისა და უცხო გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებს, ვითომ ოსმალეთის ადგილებს რევოლიუციონერთა ბრბო შეჰსევია. გაზეთი აცხადებს, რომ მთავრობა მუდამ ასრულებს თავის მოვალეობას იმ შემთხვევაში, როცა ბოლგარიაში მყოფნი კავშირნი კანონიერების დარღვევას განიზრახებენ.

ბერლინი. რუსეთის ბანკების აქციები კარგ ფასებშია, თუმცა აქ რუსეთის ახალი სესხის გამოცემას აპირებენ.

რუსეთის ახალის, 1902 წლის ოთხ პროცენტიანის სესხის გამოცემის შესახებ. სესხი იქნება 300 მილიონის მარკისა, ანუ 138 მილიონისა და 900 ათასს მანეთისა. გამოცემის დღეს ასი მანეთი გერმანიაში $97^{1}/_{2}$ მანეთი ეღირება.

პეტერბურგი. ლეიბ-ხირურგის პროფესორ ველიამინოვის ოცი წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამო, დღეს დღესასწაული გადაიხადეს.

საპატიმროთა მოღვაწეთ კრებამ სასურველად იცნო, რომ ციხეში გამართული სახელოსნოები თვითონ ციხეს მოშორებული იყოს.

დღეს აქაურ ბირჟაზე პირველად გამოიტანეს გასასყიდად ახალი ოთხ პროცენტიანი 1902 წლის სესხის ქაღალდები. ბევრი გაიყიდა $95^{5}/_{8}$ მანეთად.

14 მარტს კონსტანტინოვსკი საარტილერიო სასწავლებლის დაარსების დღესასწაული იყო; პარაკლისის დროს ეკლესიაში მობრძანდა შეფი ამ სასწავლებლისა გენერალ-ფელდცეჰმეისტერი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და სამხედრო სასწავლებელთა უფროსი გამგე დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

13 მარტს საქველ-მოქმედო წარმოდგენას მიხაილოვსკი თეატრში გეთილ-ინებეს და დაესწრნენ ხელმწიფე-იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და საიმპერატორო სახლეულობის პირნი.

15 მარტი.

ვენეცია. მინისტრი პინეტტი მოვიდა და გერმანიის კანცლერს ბიულოვს ეწვია.

არხანგელსკი. ახალი გუბერნატორი, კონტრ-ადმირალი რიმსკი-კორსაკოვი მობრძანდა.

ახალი მარგელანი. სამხედრო მინისტრის ფერგანის მობრძანების სახსოვრად, მკვიდრთ 12,000 მან. შესწირეს გენერალ კუროპატკინის სახელობაზე ვაჟების გიმნაზიაში სტიპენდიის დაარსებისათვის.

მოგილიოვი. დნეპრზე ყინული დაიძრა. მალე ნავოსნობა გაიხსნება.

სარატოვი. უფროსი თავმჯდომარე სასამართლო პალატისა ბიზე გარდაიცვალა.

ვილნო. რუსეთის ისტორიის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო კრება მოხდა. საზოგადოების თავმჯდომარედ გენერალ-ლეიტენანტი ვალია არჩეული.

ადესსა. შორეულ აღმოსავლეთიდან გემი „მოსკოვი“ მოვიდა. გემს მოჰყვა 20 მგზავრი. მოიტანეს 165 ტონი ჩაი და 160 ტონი სხვა-და-სხვა საქონელისა.—ხორბალი—370,000 ჩარექი.

ბორისოგლებსკი. ქალაქის ხმოსნების არჩევნები მოხდა. 20 ხმოსანი ამოირჩიეს, მათში 5 ახალი. ახალი საბჭო განსაკუთრებით ვაჭრებისაგან შესდგება.

კოპენჰაგენი. ბრიტანიის დედოფალი საგანგებო მატარებლით მოვიდა.

პარიზი. დღეს მოხდა წლიური კრება რუსეთის სავაჭრო პალატისა. კრებამ უნდა დაამტკიცოს მეორე წლის (1901 წ.) მოქმედების ანგარიში.

პეტერბურგი. სენატორები კალაჩოვი და თავ. ობოლენსკი სახელმწიფო საბჭოს წევრებად დაინიშნენ.—რადგან არაბიაში, გეჯასში, ჩინეთში, და კანტონში ხოლერა გაჩნდა, ამიტომ გემები, რომელნიც ამ ადგილებიდან მოდიან, აგრეთვე გეჯასიდან დაბრუნებული მაჰმადიანი მლოცველები, იმ შემთხვევაში, თუ ესენი შავი ზღვის ნავთ-სადგურებში გაჩერებას აპირებენ, მხოლოდ ფეოდოსიის ნავთ-სადგურში უნდა მივიდნენ.—საოჯახო მრეწველთა კრებამ დაადგინა, საჭიროა შუამდგომლობა, რათა სამეურნეო საზოგადოებას მიეცეს უფლება საოჯახო მრეწველობის სამზრუნველოების დაარსებისა.—მოკლე ხანში კავკასიის რკინის გზის საზოგადოება გამოიკვლევს, რამდენად მოსახერხებელია შავი ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანა.—საპატიმრო მოღვაწეთა კრებამ დაადგინა: „სასურველია, რომ საპატიმრო ადმინისტრაციამ იმგვარი მუშაობა აძლიოს ხოლმე ტუსაღებს, რომელიც ტუსაღის თვალში სასარგებლოა, და არა იმისთანა, რომელსაც მეტი მოგება მოაქვს.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჟაბადარი.**

განცხადებანი

მცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ სამიწად-მოქმედო-სახელოსნო ახალშენთა და თავშესაფართა მმართველობა, თანახმად საზოგადოების წესდების § 16, უმორჩილესად სთხოვს ბ. ბ. საზოგადოების წევრთ, მობრძანდნენ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგება ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში, ორშაბათს, 25 მარტს ამა 1902 წლისა, შუადღის 12 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში მმართველობის მოქმედებისა 1901 წელს.

2) ფულის ანგარიში საზოგადოებისა 1901 წლ.

3) გამასწორებელი ახალშენის ანგარიში 1991 წ.

4) შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოებისა 1902 წლისთვის.

5) სარევიზიო კომისიის მოხსენება 1901 წ. ანგარიშისა და 1902 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

6) კითხვა მმართველობის ახალი წევრების არჩევანების გამო იმათ სამაგიეროდ, რომელთაც ვადა გაუვიდათ საზოგადოების წესდების 22 მუხლის ძალით.

7) კითხვა ფ. ა. ბიკოვის მიღებაზე საპატიო წევრად საზოგადოებისა.

8) კითხვა კავკასიის გამასწორებელი სამიწად-მოქმედო-სახელოსნო ახალშენის წესდების მე-2 მუხლის შეცვლის გამო.

შენიშვნა: საზოგადო კრება შესდგება, უკეთუ კრებას დაესწრება არა ნაკლებ 20 წევრისა. (საზოგ. წესდ. 17 მუხლი). (3—2).

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. ამომრჩეველთ, რომ იმათ სახელზე ქონებათა გადატანის დოკუმენტების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია და აგრეთვე განცხადების შემოტანისა მაზე, რომელ საარჩევნო უბანში სურთ მიიღონ მონაწილეობა ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალს არჩევნებში—10 აპრილამდის 1902 წლ. (3—3)

ზ ი ს

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გვრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**

ტელეფონი № 754. (წ.).

ხეხილები,

რომლებიც დაჯილდოვებულია ოქროს მედლით, ლაგოდეხიდან აფრიკიანის ამხანაგობის „ტრუდ“ (შრომა) ისყიდება. მიხეილის ქუჩა, № 101, ტერ-სტეფანოვის პანსიონი. (4—3)

Дозволено цензурою Тифлисъ, 15 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.